



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492208416

თარიღი:25/03/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N121 (გ-49.49213378) განკარგულებაში

ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე და 30¹ მუხლებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N121 (გ-49.49213378) განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი,კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები

N	კომისიების დასახელება	კომისიის წევრთა რაოდენობა	ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
1	იურიდიულ საკითხთა კომისია	15	10	5
2	ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია	14	9	5
3	კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია	15	10	5
4	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	14	9	5
5	ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია	14	9	5